



შპს - საქართველოს მყარი ნარჩენების  
მართვის კომპანიის დირექტორს, ბატონ  
გიორგი შუხოშვილს  
მის: 0186 თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას #14  
ტელ: (995 32) 2 438 830  
ელფოსტა: info@waste.gov.ge

ბატონო გიორგი,

თქვენი 2022 წლის 18 ივლისის #04/287 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თქვენი კომპანიის მიერ, „მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ს, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში“ პროექტის ფარგლებში, ქ. ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. დიდი ნეძის მიმდებარედ არსებულ ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე (112,720 მ<sup>2</sup> ფართობი, გეოგრაფიული კოორდინატები: Y727943.05, X4698565.10; Y727812.40, X4698345.30; Y727712.40, X4698082.00; Y727667.60, X46988143.67; Y727500.60, X4698600.40) ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობას და კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ზედაპირული დაზვერვების ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ ანგარიშის მიხედვით საპროექტო არეალში, კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ხილული ძეგლი/ობიექტი ან/და არტეფაქტები არ დასტურდება.


**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თქვენ მიერ დაგეგმილი სამუშაოები საფრთხეს არ უქმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს/ობიექტებს, შესაბამისად სააგენტო თანახმაა დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ ზემოთ მითითებული გეოგრაფიული კოორდინატების ფარგლებში.**

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის საზღვრების ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან“.

აღსანიშნავია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად - „თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არა უგვიანეს 7 დღისა“.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერა/   
შტამგდამსწულია  
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი